

სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურის მიმოხილვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

ძვირფასო კოლეგებო, პატივცემულო სტუმრებო,

პირველყოვლისა, მოგესალმებით საუკეთესო სურვილებით. მინდა გამოვხატო ჩემი კმაყოფილება და მხარდაჭერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ევროპისმცოდნეობის“ სადოქტორო პროგრამის დაფუძნებასთან დაკავშირებით და წარმატებები ვუსურვო ამ პროგრამაში ჩართულ ყველა ადამიანს მისი შემუშავების, იმპლემენტაციის, განხორციელებისა და განვითარების პროცესში.

თქვენის ნებართვით, მოკლედ ვისაუბრებ იმ საკანონმდებლო ვალდებულებებზე, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია პროგრამის შემუშავებისა და მისი განხორციელებისათვის.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, სადოქტორო პროგრამების სამართლებრივი წანამდღვრები დადგენილია 2004 წლის დეკემბერში მიღებული კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“. თუმცა, ამასთან ერთად, არსებობს რამდენიმე სამართლებრივი დოკუმენტი (ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები, საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ), რომელთა დაცვითაც ხდება ნებისმიერი აკადემიური პროგრამის შემუშავება უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში. ამას ემატება კონკრეტული უნივერსიტეტების შიდა რეგულაციები და შესაბამისი ფაკულტეტების დოკუმენტები, რომლებიც სადოქტორო პროგრამების შემუშავებისა და მოქმედების პროცედურებისა და ნორმების შესაბამისობას ადგენს საკუთარ მისიასთან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ) სამაგისტრო და სადოქტორო განათლების განვითარება ხანგრძლივი პროცესია. 2003 წლიდან მოყოლებული, უნივერსიტეტის პროფესურის ძალისხმევითა და ღია საზოგადოების, ტემპუსის, ერაზმუს მუნდუსისა თუ სხვა ფონდების გრანტების საშუალებით ეს პროცესი სამ ეტაპად განვითარდა. თავდაპირველად სხვადასხვა პროექტების სამიზნე სამაგისტრო პროგრამების განვითარება იყო, რომელიც სადოქტორო პროგრამებისთვის მომზადებით გაგრძელდა და, 2008 წლიდან, უნივერსიტეტში **დოქტორანტურის აკადემიურ საფეხურზე** სადოქტორო პროგრამების დანერგვა და განვითარება

დაიწყო. სადოქტორო პროგრამების განვითარების შემდეგი ეტაპი უნივერსიტეტში სადოქტორო სკოლის (Graduate School) დაარსებაა.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დოქტორანტურის აკადემიურ საფეხურთან დაკავშირებით შემდეგი დეფინიციები არსებობს:

1. კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“ სადოქტორო აკადემიური საფეხური ასე განიმარტება: „დოქტორანტურა - უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხური, სასწავლო პროგრამების და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.
2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს დოქტორანტს სამეცნიერო ხელმძღვანელით, უქმნის პირობებს სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩასატარებლად, რომელიც უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ თეორიულ ან/და ექსპერიმენტულ შედეგებს, ხელს უწყობს დოქტორანტის ინტეგრაციას მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში.
4. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს.
5. დოქტორანტურის დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება აკადემიური ხარისხი, რომლის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს „დოქტორი“ შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.
6. დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს სადისერტაციო საბჭო შესაბამისი დებულების მოთხოვნათა დაცვით.

აღნიშნულ განმარტებათაგან მე-4 (აკადემიური ხარისხის მინიჭება), უმაღლესი განათლების შესახებ კანონში მითითებული ამ ჩანაწერის გარდა, რეგულირდება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ (დამტკიცების თარიღი 2010 წლის 10 დეკემბერი) დოკუმენტით. სწორედ აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების მინიჭების წესს.

- უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო არის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემადგენელი დოკუმენტი, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებული უმაღლესი (აკადემიური) განათლების კვალიფიკაციები.

- უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია არის სწავლის შედეგი, რომელიც მიიღწევა აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევიტ და დასტურდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომით. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების აღწერას სწავლის შედეგების საფუძველზე.

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიზანია:

- ქვეყანაში არსებულ კვალიფიკაციათა ურთიერთკავშირის აღწერა;
 - სტუდენტების, დამსაქმებლებისა და აკადემიური პერსონალისათვის არსებული კვალიფიკაციების გაგების გაადვილება;
 - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისა და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის პროცესში;
 - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე სისტემების მხარდაჭერა და უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება;
 - სტუდენტზე ორიენტირებული განათლების სისტემის ჩამოყალიბების საფუძვლის შექმნა;
 - საერთაშორისო დონეზე თავსებადობისა და შესაძარობის უზრუნველყოფა, ასევე კვალიფიკაციებისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების ურთიერთთადიარების პროცესის გაადვილება;
 - სტუდენტების მობილობის წახალისება და ხელშეწყობა;
 - მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა.
- ცალკეულ დარგში სწავლის შედეგები კონკრეტდება აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული დარგობრივი სტანდარტის მეშვეობით, რომელიც აღწერს შესაბამისი საფეხურისა და სპეციალობის კვალიფიკაციის მფლობელის კომპეტენციებს.

ამავე დოკუმენტით წარმოდგენილია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა. კერძოდ,

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახეებია:

- კოლეჯი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას;
- სასწავლო უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს (გარდა დოქტორანტურისა). სასწავლო უნივერსიტეტი აუცილებლად ახორციელებს მეორე საფეხურის – მაგისტრატურის – საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს;
- უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს.
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება ხორციელდება ავტორიზაციით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება იყოს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირი. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია ნებაყოფლობითია, თუმცა -
- რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადების, ქართულ ენაში მომზადებისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში. სახელმწიფო სასწავლო გრანტი და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი გაიცემა მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იმ საგანმანათლებლო პროგრამის დასაფინანსებლად, რომელსაც გავლილი აქვს აკრედიტაცია. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციასა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.
- საქართველოში არსებობს უმაღლესი განათლების სამი საფეხური. საგანმანათლებლო პროგრამები აღწერილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით.
- პროგრამაზე მუშაობის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კვალიფიკაციათა აღმწერის მოთხოვნების გათვალისწინებას, რაც, აგრეთვე, წარმოდგენილია აღნიშნულ დოკუმენტში.

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით განისაზღვრება შესაბამის საფეხურზე მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების დონე, რაც მოიცავს ექვს კრიტერიუმს:

- ა) ცოდნა და გაცნობიერება;
- ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- გ) დასკვნის უნარი;
- დ) კომუნიკაციის უნარი;
- ე) სწავლის უნარი;
- ვ) ღირებულებები.

- უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოსა და შესაბამის დარგობრივ დოკუმენტზე დაყრდნობით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიიდან გამომდინარე, ხორციელდება ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება. საგანმანათლებლო პროგრამის, ასევე სასწავლო კურსისა თუ მოდულის სწავლის შედეგები აღიწერება დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით.
- უმაღლესი განათლების საფეხურები, სწავლის შედეგების მიხედვით, აღწერილია იერარქიულად. უმაღლესი განათლების ყოველი მომდევნო საფეხური გულისხმობს წინა საფეხურზე მიღებული სწავლის შედეგების საფუძველზე დამატებითი სწავლის შედეგების მიღწევას.

შესაბამისად, ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე, რაც სადოქტორო აკადემიური პროგრამის შემუშავებას გულისხმობს, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურის) სწავლის შედეგებია:

ა) ცოდნა და გაცნობიერება – დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;

- ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;
- გ) დასკვნის უნარი – ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;
- დ) კომუნიკაციის უნარი – ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;
- ე) სწავლის უნარი – უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში;
- ვ) ღირებულებები – ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ კვალიფიკაციის აღმწერი შეიძლება დაზუსტდეს ან დაკონკრეტდეს შესაბამისი დარგობრივი დოკუმენტი.

- რაც შეეხება კვალიფიკაციის მინიჭების საკითხს, აქ კიდევ ერთხელ ხაზგასასმელია, რომ მესამე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „დოქტორი“, მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. იგი სრულდება დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე საკვალიფიკაციო ნაშრომის შემუშავებითა და საჯარო დაცვით.
- რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის მომზადებაზე შესაბამისი რეგულირებადი პროფესიისათვის. საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 75% ეთმობა რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას.

- კონკრეტულ შემთხვევაში, რამდენადაც „ევროპის მცოდნეობის“ სადოქტორო პროგრამა ინტერდისციპლინურია, მიზანშეწონილი იქნებოდა მისთვის „ევროპის მცოდნეობის დოქტორის“ კვალიფიკაციის მინიჭება. თუმცა აღნიშნული დეფინიცია დღესდღეობით კვალიფიკაციათა ჩარჩოს მხოლოდ მესამე სვეტშია წარმოდგენილი, რომელიც ქვედარგს/სპეციალიზაციას ასახავს, და არა მიმართულებას ან/და დარგს ან/და სპეციალობას.
- საქართველოში დასაშვებია მხოლოდ ამ ბრძანებით (დანართი №4) გათვალისწინებული მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- ამ ბრძანების დანართი №4-ით გათვალისწინებული მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება დასაშვებია, თუ მასზე დაწესებულებას მიღებული აქვს თანხმობა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრისგან ავტორიზაციისას, ამ პროგრამის აკრედიტაციისას ან თვითშეფასების ანგარიშის წარდგენისას.
- ამ რეგულაციით გათვალისწინებულ შემთხვევაში სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარუდგენს წინადადებებს მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის ჩამონათვალში დამატების თაობაზე.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის ჩამონათვალში დამატება არის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობა.
- ამდენად, ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული სადოქტორო პროგრამის სააკრედიტაციოდ წარდგენის შემდგომ, შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობა და გარკვეული ცვლილებების შეტანა კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოში, იქნება ჩვენი დასაბუთებული მოთხოვნა ამ უკანასკნელის თაობაზე.

შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია პროგრამაზე მუშაობისას, გახლავთ „**უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი**“ (დამტკიცების თარიღი 2007 წლის 05 იანვარი), რომლის დანიშნულებაც სტუდენტის აკადემიური დატვირთვის ასახვა ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემის (ECTS) შესაბამისად. ის მოიცავს

ყველა სავარაუდო აქტივობას, რომელიც სტუდენტს ესაჭიროება სასწავლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

სტუდენტის საქმიანობა (სტუდენტის დატვირთვა) მოიცავს:

ა) ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან ლაბორატორიულ მეცადინეობას;

ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას;

გ) სასწავლო, სამეცნიერო და საწარმოო პრაქტიკას;

დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;

ე) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (საკურსო ნაშრომი, მოხსენება კონფერენციაზე, სამეცნიერო წერილი, საპატენტო განაცხადი, სადიპლომო, საბაკალავრო, სამაგისტრო ან დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი, ასევე სადოქტორო დისერტაცია) მუშაობას;

ვ) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის დაცვას და გამოსაქვეყნებლად მომზადებას.

უმაღლესი საგანმანათლებლო პოგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესით ასევე დადგენილია როგორც სტუდენტთა (მათ შორის დოქტორანტთა) ნებისმიერი სახის აკადემიური აქტივობის შეფასების სქემა, როგორებიცაა:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ასევე დოქტორანტის შეფასება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შემდგომ. კერძოდ:

- ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

ამავე მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

- ა) შუალედურ შეფასებებს;
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
 - სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
 - დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.
 - დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.
 - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, სტუდენტის საბოლოო შეფასების მიზნებისათვის, განსაზღვროს იმ სტუდენტთა დასკვნით გამოცდაზე გასვლის ვალდებულების საკითხი, რომელთაც შუალედური შეფასებებით მიღებული აქვთ დადებითი შეფასებების მისაღებად გათვალისწინებული ერთ-ერთი შეფასებისათვის საკმარისი ქულათა ჯამი.

ძალზე მნიშვნელოვანია იმ მოთხოვნების გათვალისწინება, რომ კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის (როგორცაა მოდული, სასწავლო კურსი, პრაქტიკა, დისერტაცია და სხვ.). სასწავლო კურსი (საგანი) არის ერთსემესტრიანი (ერთტრიმესტრიანი).

კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად.

კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ სტუდენტის მიერ პროფესორ-მასწავლებლებთან სასწავლო გარემოში გატარებული საათების (საკონტაქტო საათების) მიხედვით.

გარდა ჩამოთვლილი დოკუმენტებისა, უმნიშვნელოვანესია ის შიდა მარეგულირებელი წესები, რომლებიც დამტკიცებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პირველყოვლისა, ეს გახლავთ აკადემიური საბჭოს დადგენილება „**დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ**“ (დამტკიცების თარიღი 2011 წლის 16 მარტი).

აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტისა და მისგან გამომდინარე: უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტებას, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განმარტებებს, საერთაშორისო რეცენზირებისათვის სტატიის წარმოდგენისა და მისი შეფასების წესს, დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმის განმარტებას, დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განმარტებას, ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ (პროფესორის ასისტენტობა).

„დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის“ შესაბამისად, სადოქტორო პროგრამის 180 კრედიტი შემდეგნაირად ნაწილდება:

დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები. მათ შორის:

60 კრედიტი - სასწავლო კომპონენტი;

120 კრედიტი - კვლევითი კომპონენტი.

1. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

2. დოქტორანტის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს შემდეგ სალექციო კურსებსა და სხვა აქტივობებს:

- ა) სწავლების მეთოდები (5–15 კრედიტი, სავალდებულო სალექციო კურსი);
- ბ) აკადემიური წერა (კვლევის მეთოდების კომპონენტებით, 5–15 კრედიტი; სავალდებულო სალექციო კურსი მათთვის, ვისაც აკადემიური წერა და/ან კვლევის მეთოდები წინა საფეხურზე არ გაუვლია);
- გ) მინიმუმ ერთი სემინარი (15–30 კრედიტი, სავალდებულო);
- დ) პროფესორის ასისტენტობა (5-30 კრედიტი, სავალდებულო);
- ე) სხვა არჩევითი სალექციო კურსები/აქტივობები.

3. დოქტორანტურის სავალდებულო კვლევითი კომპონენტები მოიცავს მინიმუმ 2 კოლოკვიუმს (20 კრედიტი თითოეულისათვის) და სადისერტაციო ნაშრომს.

4. დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ზოგადი სქემა საერთოა მთელი უნივერსიტეტისათვის. სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ზოგადი სქემების ფარგლებში ფაკულტეტი უფლებამოსილია დაადგინოს სასწავლო და კვლევითი კომპონენტების საფაკულტეტო სქემები, სადაც შესაძლებელია დაზუსტდეს სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შემადგენელი ელემენტები და მათი სტატუსი, ამა თუ იმ სასწავლო კურსისათვის, დოქტორანტის ამა თუ იმ საქმიანობისათვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა.

5. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის მომზადებაზე შესაბამისი რეგულირებადი პროფესიისათვის. საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 75% ეთმობა რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას.

დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში.

დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში, სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

სადისერტაციო ნაშრომის ზომასა და ფორმატს განსაზღვრავს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

დისერტაციის დაცვაზე დასაშვებად აუცილებელია, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა სადისერტაციო საბჭოს წარუდგინოს დასკვნა იმის შესახებ, რომ იგი გაეცნო დისერტაციას და ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად.

ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება განსაზღვრავს მოეთხოვება თუ არა დოქტორანტს, დისერტაციის დაცვამდე გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული ჰქონდეს სამეცნიერო პუბლიკაციები (რის დამადასტურებელ დოკუმენტსაც წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს).

დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია, რაც გულისხმობს, რომ დოქტორანტმა უნდა დააკმაყოფილოს ქვემოთ წარმოდგენილი ერთ–ერთი მოთხოვნა მანც:

ა) დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას ჰყავს უცხოელი ხელმძღვანელი;

ბ) დოქტორანტის სამეცნიერო ნაშრომი სადოქტორო დისერტაციის თემაზე უკვე დაიბეჭდა ან მიღებულია დასაბეჭდად იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში, ან რეფერირებად/რეცენზირებად (რაც დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო კლასიფიკატორით ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტით) ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე. წ. Proceedings);

გ) უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი ფაკულტეტებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს დოქტორანტის სადისერტაციო თემაზე გამოქვეყნებული/გამოსაქვეყნებლად გადაცემული ერთი სტატიის ან დისერტაციის შემოკლებული ვერსიის (30-45 გვერდი) საერთაშორისო რეცენზირებას.

ზემოთმოყვანილი ყველა მარეგულირებელი წესი თავს იყრის აკრედიტაციის სტანდარტებში (საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ - დამტკიცების თარიღი - 2010 წლის 21 ივლისი), რომელთა მიხედვითაც ხდება ამა თუ იმ საგანმანათლებლო პროგრამის როგორც შიდა, ასევე გარე (აკრედიტაციის პროცესი, ყოველწლიური ანგარიში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წინაშე) შეფასება. აკრედიტაციის სტანდარტები შემდეგ პარამეტრებს მოიცავს:

სტანდარტი 1 – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და განხორციელებადია;

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით.

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე.

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება.

სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და მოწოდებული/უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია.

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით.

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.

სტანდარტი 3 – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას.

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა.

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში.

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტი 4 - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით.

4.5 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

4.6 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

4.7 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა.

სტანდარტი 5 - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს “დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე” ციკლს.

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად.

ეს იყო მიმოხილვა იმ რეგულაციებისა, რომელთა გათვალისწინებაც მოგვიწევს პროგრამის კურიკულუმზე მუშაობისას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს სამეცნიერო კვლევების განვითარება - მათ შორის, უპირატესად, საერთაშორისო დონეზე. შესაბამისად, აღნიშნული მიზნის მიღწევისთვის უმნიშვნელოვანესია უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია, ახალი საერთაშორისო სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავება და განხორციელება, აგრეთვე აღნიშნული პროგრამების ინტერნაციონალიზაციისა და გრძელვადიანი მდგრადი განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკა.

ცხადია, ჩვენს უკიდურესად პოლიტიზირებულ და სწრაფად ცვალებად რეალობაში ერთგვარ რისკს წარმოადგენს ზოგადად სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკის თანმიმდევრული, გრძელვადიანი სტრატეგიის არარსებობა. სახელმწიფო აუცილებლად თანმიმდევრული უნდა იყოს საგანმანათლებლო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში. ეს პოლიტიკა არ უნდა იცვლებოდეს პოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილებების მიუხედავად. მაშინ იქნება ის ორიენტირებული სასურველ შედეგზე და ეს შედეგებიც შესაბამისობაში იქნება დაგეგმილ ორიენტირებთან.

ვშიშობ, სტანდარტები, რომელთა შესახებაც ვისაუბრე, კვლავაც შეიცვლება საგანმანათლებლო პოლიტიკის ახალი ვექტორების შესაბამისად, თუმცა, იმედს ვიტოვებ, რომ ცვლილებებამდე „ევროპისმცოდნეობის“ სადოქტორო პროგრამა წარმატებით გაივლის აკრედიტაციას და დამდეგი სასწავლო წლიდან მიიღებს პირველ მსურველებს.

სასიკეთო ცვლილებებისა და წარმატებების სურვილით,

დიდი მადლობა ყურადღებისთვის.

თამარ ვეფხვაძე.

ფილოლოგიის დოქტორი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

თბილისი. 2013 წლის 01 მაისი.